# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია განმწესრიგებელი სხდომის

## განჩინება №1/1/1718

**2023 წლის 3 თებერვალი**

**ქ. ბათუმი**

**კოლეგიის შემადგენლობა:**
ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩხილაძე – წევრი.

**სხდომის მდივანი:** მანანა ლომთათიძე

**საქმის დასახელება:** ნოდარ ჩავლეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

## I

## აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 12 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1718) მომართა ნოდარ ჩავლეიშვილმა. კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადმოეცა 2022 წლის 13 ივლისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2023 წლის 3 თებერვალს.

2. №1718 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და მე-60 მუხლები, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და $31^1$ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესით დადგენილი წესით. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებამდე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კონსულტაციისთვის მიიწვიოს შესაბამისი სახელმწიფო უწყების კომპეტენტური წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

5. №1718 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას. კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს, რომ გასაჩივრებული რეგულაციის მოქმედების პირობებში ერთმევა შესაძლებლობა, რომ მის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები, რომელიც მას ასევე მიღებული აქვს მემკვიდრეობით, ოფიციალურად დაუკანონდეს და გადაეცეს საკუთრებაში. ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევს, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტს და იგი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

## II

## სამოტივაციო ნაწილი

1. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელისადმი კანონმდებლობით წაყენებულ პირობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დასაბუთებულობის მოთხოვნა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს. მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში უნდა მოიყვანოს ის მტკიცებულებანი, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის №2/6/475 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.

2. №1718 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული რეგულაციის საფუძველზე, მას ეზღუდება შესაძლებლობა, საკუთრებაში დაარეგისტრიროს მის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები, რაც არღვევს ზემოხსენებული კონსტიტუციური დებულებით დაცულ მისი საკუთრების უფლება.

3. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმა ადგენს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოთა ჩამონათვალს, ამ ორგანოთა მიერ საკუთარი ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელ ფორმალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რელევანტურ პროცედურულ საკითხებს. საკუთრივ ნორმა არ აწესებს საკუთრების უფლების შინაარსობრივ შეზღუდვას. „ფიზიკური

და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შემოიფარგლება მხოლოდ ზემოხსენებულ საკითხთა იდენტიფიცირებით და მას არ გააჩნია მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების მზღუდავი ხასიათი. დამატებით, საკონსტიტუციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს, კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, საერთოდ არ წარმოუდგენია რელევანტური არგუმენტაცია სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართების თაობაზე, რაც კიდევ უფრო ააშკარავებს სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობას.

4. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №1718 კონსტიტუციური სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო, არსებობს მისი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $31^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და $31^3$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

## III

## სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $27^1$ მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, $31^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, $31^2$ მუხლის მე-8 პუნქტის, $31^3$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $31^5$ მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, $31^6$ მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5, მე-7, მე-8, მე-10 და მე-13 პუნქტების საფუძველზე,

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

**ა დ გ ე ნ ს:**

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1718 კონსტიტუციური სარჩელი („ნოდარ ჩავლეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“).

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

3. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

**კოლეგიის შემადგენლობა:**

**ვასილ როინიშვილი**

**ევა გოცირიძე**

**გიორგი თევდორაშვილი**

**გიორგი კვერენჩხილაძე**